

„ჰიდროდიაგნოსტიკა“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

HYDRODIAGNOSTICS

სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის
დალამვის პროგნოზული შეფასების კვლევითი სამუშაო

Forecasting the Khudoni hydropower reservoir sedimentation

(ხელშეკრულება №2/12, 26.11.2012)



თბილისი
2013

„ჰიდროდიაგნოსტიკა“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

HYDRODIAGNOSTICS

სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში

პამტკიცება:

შპს „ჰიდროდიაგნოსტიკა“-ს დირექტორი

ლოქტორი

ი.ნონიძე

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის
დალამვის პროგნოზული შეფასების კვლევითი სამუშაო

Forecasting the Khudoni hydropower reservoir sedimentation

(ხელშეკრულება №2/12, 26.11.2012)

თემის ხელმძღვანელი,

ტყეშელაშვილი დ.ლოქტორი

ბ.ხელიძე

თბილისი
2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

ხუდონჰესოს წყალსაცავის დალამვის პროგნოზი ენგურჰესის წყალსაცავში ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვების შედეგების გათვალისწინებით 2

1. მდინარე ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონატანის საშუალო წლიური მოცულობის დადგენა 2

2. სუსპენზიური ფსკერული ნაკადის წარმოქმნის შესაძლებლობის დადგენა 11

3. მდ. ენგურის ფსკერული ნაკადის საშუალოწლიური ჩამონადენის მოცულობების განსაზღვრა 15

4. ხუდონჰესის წყალსაცავის დალამვის მოცულობისა და ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრა 19

დასკვნა 27

ლიტერატურა 28

ხუდონის წყალსაცავის დაღამვის პროგნოზი ენგურჰესის წყალსაცავში ჩატარებული
ინსტრუმენტული გაზომვების შედეგების გათვალისწინებით

1. მდინარე ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონატანის საშუალო წლიური მოცულობის
დადგენა

როგორც ცნობილია, მდინარეებზე წყალშემტბორი ნაგებობების მშენებლობა არსებითად ცვლის მდინარეთა ჰიდროლოგიურ რეჟიმს, რის შედეგადაც ადგილი აქვს სამდინარო ნატანის ტრანსპორტირებისა და დაღამვის პირობების შეცვლას და მის დაღამვას წყალსაცავის ქვაბულში. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად უხვნატანიან მდინარეების სამთო უბნებზე მოწყობილ წყალსაცავებზე მიმდინარეობს. ამასთან ერთად, სამთო წყალსაცავების მყარი მასალით შევსების წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს მდინარის წყალშემკრებ აუზში მიმდინარე დენუდაციური პროცესები ან წყალსაცავის შექმნასთან ერთად მის ბორტებზე გააქტიურებული მეწყერული, ღვარცოფული და აბრაზიული პროცესები, აგრეთვე ეოლური (ქარის მიერ ტრანსპორტირებული) ნატანი [1].

ჩვეულებრივ, წყალსაცავების დაღამვის უმთავრეს ფაქტორად ითვლება ნატანის ჩამონადენი, ხოლო სამთო წყალსაცავების დაღამვაში ტივტივა ნატანი ასრულებს მთავარ როლს [2], რასაც საქართველოს სამთო წყალსაცავებზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი ნატურული დაკვირვებებიც ადასტურებს [3], [4].

წყალსაცავების დაღამვის გაანგარიშების ამოცანები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: 1) წყალსაცავის ექსპლუატაციის ვადის პროგნოზირება; 2) დაღამვის მოცულობის დადგენა. ამ ამოცანების გადაწყვეტას საფუძვლად უდევს წყალსაცავში შემოტანილ და იქედან გატანილ ნატანს შორის ბალნის დადგენა. ნატანის შემოტანილი ნაწილი განისაზღვრება მდინარეთა მყარი ჩამონადენის, აგრეთვე სამთო ქანების დაშლის პროდუქტების, როგორცაა: ზვავები, მეწყერები, ღვარცოფული და აბრაზიული ნარიყი, ეოლური ნატანი და სხვა, მონაცემების მიხედვით.

ნატანის გატანილი ნაწილის განსაზღვრა შესაძლებელია ან ნაკადის ტრანსპორტირების უნარის მიხედვით წყალსაცავის კაშხლისპირა კვეთში, ორტა-შამოვის ჰიპოთეზის გამოყენებით, რომლის თანახმად ქვედა ბიეფში გატანილი ნატანის რაოდენობა პირდაპირპროპორციულია წყალსაცავის დაღამვის მოცულობისა, ან სხვადასხვა გეოდინამიკური პროცესის აქტივიზაციის შედეგად წყალსაცავში მოხვედრილი მყარი მასალის დისპერსიული სისტემის სახით წარმოდგენით, რომელიც შედეგადად საშუალო ქანების დაშლის სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისაგან – მილიმეტრის მეათასედვიდან ათეულობით სანტიმეტრამდე. მეორე მეთოდის უპირატესობა პირველთან შედარებით არის ის, რომ ეს მეთოდი მოითხოვს მინიმალურ საწყის ინფორმაციას და ითვალისწინებს წყალსაცავში აკუმულირებული ნატანის მოცილებას ჰიდრავლიკური გარეცხვებით, ჰიდრომექანიზაციის გამოყენებით ან ფსკერული ნაკადების ქვედა ბიეფში გაშვებით. ამ მეთოდის მიხედვით საშუალო წყალსაცავების დაღამვის საპროგნოზო ანგარიშის ზოგად განტოლებას წყალსაცავში შემოტანილი ყველა სახის ფრაქციული შემადგენლობისა და მათი მოცილების პერიოდულობის გათვალისწინებით აქვს სახე [1]:

$$W_{\text{გ}} = \frac{V_{\text{გ}} + V_{\text{მს}}}{V_{\text{წ}}} W_{\text{ზღ.}} (1 - e^{-\frac{V_{\text{წ}}}{W_{\text{ზღ.}}} t}) - V_{\text{გ}} \frac{W_{\text{ზღ.}}}{V_{\text{წ}}} e^{-\frac{V_{\text{წ}}}{W_{\text{ზღ.}}} t} \times \sum_{k=1}^n f(t - t_k) (e^{\frac{V_{\text{წ}}}{W_{\text{ზღ.}}} (t_k + \tau_k)} - e^{-\frac{V_{\text{წ}}}{W_{\text{ზღ.}}}}) \quad (1)$$

სადაც $W_{\text{წ}}$ არის წყალსაცავის დაღამვის მოცულობა მ³;

$W_{\text{ზღ.}}$ - დაღამვის ზღვრული მოცულობა მ³;

$V_{\text{წ}}$ და $V_{\text{მს}}$ - შესაბამისად წყალსაცავში შემოტანილი წვრილი და მსხვილმარცვლოვანი ნაწილაკების ჯამური საშუალოწლიური მოცულობები, მ³/წელი;

$$V_{\text{წ}} = V_{\text{ტ}} + V_{\text{მ.ზ.წ}} + V_{\text{ლ.წ}} + V_{\text{ა.წ}} + V_{\text{გ.წ}} \quad ; \quad V_{\text{მს}} = V_{\text{გ}} + V_{\text{მ.ზ.მს}} + V_{\text{ლ.მს}} + V_{\text{ა.მს}} + V_{\text{გ.მს}}$$

$V_{\text{ტ}}$, $V_{\text{გ}}$, $V_{\text{მ.ზ.}}$, $V_{\text{ლ.}}$, $V_{\text{ა.}}$, $V_{\text{გ}}$ შესაბამისად წარმოადგენენ მდინარის ტივტივა და ფსკერული ნატანის, მეწყერებისა და ზვავების, ღვარცოფების, წყალსაცავის ბორტების აბრაზიისა და ქარის (ეოლური) ზემოქმედებით წყალსაცავში შემოტანილი მყარი მასალების საშუალო წლიურ მოცულობებს (ინდექსი “წ” აღნიშნავს ამ მასალების წვრილმარცვლოვან ნაწილს, ხოლო “მს” – მსხვილმარცვლოვანს), მ³/წელი. რაც შეეხება მდინარის ნაკადთან ერთად

წყალსაცავიდან ქვედა ბიეფში გასული ნაწილაკების საშუალო წლიურ მოცულობას, იგი განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$V_{\text{წ}} = V_{\text{წ}} \frac{W_{\text{გ}}}{W_{\text{ზღ}}} \quad (2)$$

$V_{\text{გ}}$ – წყალსაცავიდან ზემოსენებული ექსპლუატაციური ხერხებით გატანილი ნატანის საშუალო წლიური მოცულობა, მ³/წელი;

$$V_{\text{გ}} = V_{\text{კ.გ.}} + V_{\text{გ.ნ.}} + V_{\text{კ.მ.}} \quad (3)$$

სადაც $V_{\text{კ.გ.}}$, $V_{\text{გ.ნ.}}$, $V_{\text{კ.მ.}}$ შესაბამისად არის ჰიდრაულიკური გარეცხვებით, ფსკერული ნაკადებითა და ჰიდრომექანიზაციის საშუალებით მოცილებული ნატანის საშუალო წლიური მოცულობები;

τ – დრო წყალსაცავის ექსპლუატაციის დაწყებიდან, წელი;

$\tau_{\text{კ}}$ – წყალსაცავის გაწმენდის დაწყების მომენტი, წელი;

$\tau_{\text{კ}}$ – წყალსაცავის გაწმენდის ხანგრძლივობა, წელი.

როგორც აღინიშნა, სამთო წყალსაცავების დაღამვისას გადამწყვეტ ფაქტორს მდინარის მყარი ჩამონადენი, კერძოდ კი ტივტივა ნატანი წარმოადგენს, ამიტომ ტივტივა ნატანის ჩამონადენის მახასიათებლის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

უშუალოდ ხუდონჰესის წყალსაცავს მდ.ენგურზე ესაზღვრება სამი ჰიდროპოსტი: ს.ხუბერთან (იგი ამჟამად ენგურჰესის წყალსაცავის შეტბორვის ზონაშია), ს.ხაიშთან და ს.დიხთან. ვინაიდან, ს.ხაიშის ჰიდროპოსტი მდებარეობს მდ. თხეიშის შესართავს ზემოთ, ხოლო ს.დიხისა – მდ.ნენსკრას შესართავს ზემოთ, არცერთ მათგანზე გაზომილი ტივტივა ნატანის ჩამონადენი ვერ ჩაითვლება სარწმუნო საწყის მონაცემად ხუდონჰესის წყალსაცავის დაღამვის პროგნოზირებისათვის, რადგან ისინი სრულად ვერ ითვალისწინებენ წყალსაცავში ჩადინებული მდინარეების მყარ ჩამონადენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხუდონჰესის წყალსაცავის დაღამვის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს მდ.ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონადენი, განსაზღვრული ს.ხუბერის ჰიდროპოსტის მონაცემებით, რომელიც ხუდონჰესის წყალსაცავისათვის აიღება მარაგით.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალსაცავები რეალურად უფრო სწრაფად ილამება, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო პროგნოზით [3,5], ამიტომ მდინარის მყარი ჩამონადენის საშუალო წლიური მოცულობის საანგარიშო სიდიდის განსაზღვრის სიზუსტის გაზრდის მიზნით, ხშირად სარგებლობენ ექსპლუატაციაში მყოფი წყალსაცავების დალამვის ნატურული მონაცემებით.

ხუდონის წყალსაცავის დალამვის პროგნოზირებისათვის მდ.ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონადენის საშუალო წლიური მოცულობის სიდიდის დასადგენად ვსარგებლობთ ენგურის წყალსაცავის დალამვის ნატურული მონაცემებით [6], რომლის მიხედვით 2010 წლისათვის ენგურის წყალსაცავში დალამული ნატანის მოცულობა შეადგენდა 80 მლნ.მ³. ჩვენს, ხელთ არსებული ინფორმაციით [7] 1979-1984 წლებში ენგურის წყალსაცავში დალამული იყო 31,2 მლნ.მ³ ნატანი, მათ შორის 25,36 მლნ.მ³ (79%) მდ.ენგურისა და მისი შენაკადების მყარი ჩამონადენი, ხოლო 5,84 მლნ.მ³ (21%) – ზვავებისა და მეწყერების ჩამოშლისა და ნაპირების აბრაზიული გადამუშავების პროდუქტები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1984 წლიდან 2010 წლამდე ენგურის წყალსაცავის ზონაში არც მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი და არც გეოდინამიკური პროცესების მიმდინარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენგურის წყალსაცავში აკუმულურული ნატანის სრული მოცულობის 79%-ს შეადგენს ტივტივა ნატანი – 63,2% მლნ.მ³, ხოლო 21%-ს დენუდაციური პროცესების პროდუქტები – 16,8 მლნ.მ³-ის ოდენობით.

ენგურის წყალსაცავში 1978-2004 წლებში შემოტანილი ნატანის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით კომპანია “STUCKY”-ის მიერ ჩატარდა გაანგარიშებები [8], რომელთა შედეგები შესულია ხუდონის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტში. ამ მასალების მიხედვით ენგურის წყალსაცავში ყოველწლიურად შემოიტანება 2 მლნ.მ³ ნატანი ე.ი. 26 წელიწადში (1978-2004წწ.) შემოტანილი იქნებოდა 52 მლნ.მ³. ამ მონაცემებზე დაყრდნობით 2010 წლისათვის ენგურის წყალსაცავში დაგროვილი იქნებოდა 64 მლნ მ³ მყარი მასალა.

2001-2004 წლებში კომპანია “EDF”-ის მიერ ენგურის წყალსაცავში დალამული ნატანის ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, ჩატარებულმა ინსტრუმენტულმა გაზომვებმა [9] და 2012 წელს ასოციაცია „ჰიდროსფერო“-ს მიერ იგივე მიზნით ჩატარებულმა დაკვირვებამ [10] აჩვენა, რომ წყალსაცავის დალამვის საშუალო წლიური

ტემპი შეადგენს 1.8 მლნ მ³-ს, რაც კარგად ეთანადება “STYCKY“-ის [8] და იორდანიშვილის [6] კვლევებს.

უნდა აღინიშნოს რომ “EDF“-ის [8] და ასოციაცია „ჰიდროსფერო“-ს [9] ნატურული დაკვირვებები ჩატარდა კაშხლის მისაყრდენი სიღრმული ფარის აღდგენის შემდეგ და ასახავს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკეტების ფუნქციონირების პირობებში ნატანის ნაწილი გაედინება ქვედა ბიეფში.

ცხრილში 1 მოყვანილია [6], [8], [9] და [10] კვლევების ზოგიერთი მონაცემი ენგურჰესის წყალსაცავში დალექილი მყარი ნატანის შესახებ.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, წარმოდგენილი კვლევების მიხედვით განსაზღვრული ენგურჰესის წყალსაცავის დალექვის საშუალოწლიური სიდიდეები ახლოსაა ერთმანეთთან. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოდ, მყარი ნატანის რაოდენობის თეორიული განსაზღვრის და პრაქტიკული გაზომვების მეთოდები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის დამუშავებული, შემდგომი ანგარიშებისათვის ვისჯელმძვანელოთ [6]-ში მოცემული სიდიდეებით, რომლებიც გარკვეული მარაგითაა აღებული.

ცხრილი 1.

გამოკვლევა	წყალსაცავში დალამული მყარი ნატანის მოცულობა, მლნ.მ ³	გამოკვლევებით მოცული პერიოდი, წელი	წყალსაცავის დალაშქვის საშუალოწლიური ინტენსივობა, მლნ.მ ³ /წელი
იორდანიშვილი	80,0	32	2,5
“STYCKY”	52,0	26	2,0
“EDF”	46,8	26	1,8
ასოციაცია „ჰიდროსფერო“	61,2	34	1,8

2012-2013 წლებში “გარემოს დაცვის ეკოცენტრის” [11],[12],[13] მიერ ხუდონჰესის კაშხლის კვეთში ჩატარდა მდ.ენგურის წყლის სიმღვრივის ინსტრუმენტულ გაზომვათა სერია, რომლის მიხედვით სიმღვრივის სიდიდე წყალმცირობის პერიოდისათვის შეადგენს 115 გრ/მ³, ხოლო წყალდიდობის პერიოდისათვის – 1220 გრ/მ³, რაც სახელმწიფო წყლის

კადასტრში მოცემული წყლის სიმღვრივების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა დიაპაზონში თავსდება.

ს.ხუბერის კვეთში მდ.ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონადენის საანგარიშო სიდიდის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ს.ხუბერის ზემოთ მდ.ენგურის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ენგურის წყალსაცავის ნატანით კვების ძირითადი წყაროა მდ.ლარაკაკა, რომლის მყარი ჩამონადენის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 0,2 მლნ.მ³/წელიწადში [7]. თბილქიდროპროექტის მონაცემებით 1985 წლის დასაწყისისათვის ხუდონჰესის მშენებლობისას დამუშავებული იყო დაახლოებით 1,236 მლნ.მ³ გრუნტი. თუ დაეუშვებთ, რომ ამ გრუნტის ნახევარი სხვადასხვა მიზეზით მოხვდა მდინარე ენგურში, რაც შეადგენს 0,62 მლნ.მ³-ს და ამასთან იგი მთლიანად დარჩა წყალსაცავში, მაშინ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მდ.ენგურის მყარი ჩამონადენის მოცულობა ს.ხუბერთან შეადგენს:

$$W=80-0,2 \times 32-0,62=73 \text{ მლნ.მ}^3$$

მთელი რიგი გამოკვლევები ეძღვნება მდინარის მყარ ჩამონადენში ტივტივა და ფსკერული ნატანის განაწილების დადგენის საკითხს. ასე მაგალითად, [6]-ის მიხედვით ენგურჰესის წყალსაცავი მიეკუთვნება მდინარეთა მთისწინა უბანზე განლაგებულ წყალსაცავებს, რომელთათვისაც ფსკერული ნატანის ჩამონადენის ფარდობა ნატანის საერთო ჩამონადენთან შეადგენს 5-დან 15%-მდე. [14]-ის მიხედვით ს.ჯვართან მდ.ენგურის ფსკერული ნატანის ჩამონადენი ტივტივა ნატანის რაოდენობის 7,8%-ია. სხვა წყაროების [15] მიხედვით მთის მდინარეების მყარი ჩამონადენის 10-20%-ს შეადგენს ფსკერული, ხოლო 80-90%-ს - ტივტივა ნატანი. ამ მონაცემებზე დაყრდნობა შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ტივტივა ნატანის მოცულობა შეადგენს ნატანის მთელი მოცულობის 90%-ს, ხოლო ფსკერული ნატანისა -10%-ს. შესაბამისად ს.ხუბერის კვეთში ტივტივა ნატანის მოცულობა მიახლოებით შეადგენს 65.7 მლნ.მ³, ხოლო ფსკერული ნატანისა - 7.3 მლნ.მ³.

ამგვარად, ტივტივა ნატანის ჩამონადენის საშუალოწლიური მოცულობის საანგარიშო სიდიდე ს.ხუბერთან შეადგენს:

$$V_{\text{ტ}}=65,7:32=2,05 \text{ მლნ. მ}^3 .$$

ამ სიდიდის წონით ერთეულებში გამოსახვისათვის საჭიროა განვსაზღვროთ დაღამული ნატანის მოცულობითი წონა, რომლის საანგარიშოდ რეკომენდებულია ფორმულა [6]:

$$\gamma = 1.8m_2 + 1.3m_3 + 1.4m_4 + 0.85m_5, \text{ ტ/მ}^3 \quad (4)$$

სადაც m_2 არის 1 ÷ 0,2 მმ; m_3 – 0,2 ÷ 0,5 მმ, m_4 – 0,05 ÷ 0,01 მმ, m_5 – 0,01 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე ნაწილაკების პროცენტული შემადგენლობა ტივტივა ნატანში.

მდ. ენგურის (ს.ხუბერი) ტივტივა ნატანის გრანულომეტრული შემადგენლობა [16]

ცხრილი 2

დიამეტრი, მმ	1-0,5	0,5-0,2	0,2-0,1	0,1-0,05	0,05-0,01 (<0,05)	0,01-0,05 (<0,01)
წყალდიდობა, $\rho, \%$	32,6	52,4	5,2	1,2	1,1	7,5
წყალმცირობა, $\rho, \%$	0,3	1,1	2,1	9,5	2,5	84,5
დიამეტრი, მმ	1-0,2		0,2-0,05		0,05-0,01	0,01-0,005
წყალდიდობა, $\rho, \%$	85,0		6,4		1,1	7,5
წყალმცირობა, $\rho, \%$	1,4		11,6		2,5	84,5

ამ ცხრილის მონაცემების მე-(4) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

წყალდიდობის პერიოდისათვის:

$$\gamma_1 = 1,8 \cdot 0,85 + 1,3 \cdot 0,064 + 1,4 \cdot 0,011 + 0,85 \cdot 0,075 = 1,69 \text{ ტ/მ}^3;$$

წყალმცირობის პერიოდისათვის:

$$\gamma_2 = 1,8 \cdot 0,014 + 1,3 \cdot 0,116 + 1,4 \cdot 0,025 + 0,85 \cdot 0,845 = 0,93 \text{ ტ/მ}^3.$$

[16]-ის მიხედვით, ს.ხუბერთან მდ.ენგურის წყალდიდობის (აპრილი-სექტემბერი) მყარი ნატანის საშუალო ხარჯია 145,5 კგ/წმ, ხოლო წყალმცირობის (ოქტომბერი-აპრილი) 4,3კგ/წმ, ნატანის საშუალო მრავალწლიური ხარჯი 74 კგ/წმ. როგორც ჩანს, ნატანის ძირითადი ნაწილი მოდის წყალდიდობის დროს, ე.ი. $\gamma=1.69$ ტ/მ³.

ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ტივტივა ნატანის საშუალოწლიური ჩამონადენი იქნება:

$$P_{\delta} = \gamma V_{\delta} = 2,05 \cdot 1,69 = 3,46 \text{ მლნ. ტ/წელი}$$

სახელმწიფო წყლის კადასტრის მონაცემების მიხედვით [16] ს.ხუბერთან მდ.ენგურის ტივტივა ნატანის საშუალო წლიური ჩამონადენი შეადგენს $P_{\delta,კ} = 2.3$ მლნ. ტონას.

თუ ჩვენს მიერ მიღებულ სიდიდეს შევაფარდებთ $P_{\delta,კ}$ -სთან დავადგენთ, რომ ნატურული დაკვირვებების მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული სიდიდე რამდენად განსხვავებულია საკადასტრო მნიშვნელობისაგან, ანუ განვსაზღვრავთ შემასწორებელ კოეფიციენტს:

$$K_1 = \frac{P_{\delta}}{P_{\delta,კ}} = \frac{3,46}{2,3} = 1,50$$

თბილჰიდროპროექტის მონაცემების [17] მიხედვით მდ.ენგურის ტივტივა ნატანის ჩამონადენის სიდიდე ს.ხუბერის კვეთში $V_{\delta,ბ.} = 2,66$ მლნ.მ³/წელი. ამ შემთხვევაში შემასწორებელი კოეფიციენტი იქნება:

$$K_2 = \frac{V_{\delta}}{V_{\delta,ბ.}} = \frac{2,05}{2,66} = 0,77$$

განსაზღვროთ ე.წ. დაღამვის პირველი სტადიის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც მდინარის ნატანი მთლიანად რჩება წყალსაცავში [4]:

$$T_{1b} = \frac{W_0 - 0,2V_{\text{ობ.}}}{V_{\text{მყ}}}, \quad (5)$$

სადაც $W_0 = 1100$ მლნ.მ³ არის წყალსაცავის მოცულობა;

$V_{\text{თბ}} = 4190 \text{ მლ.მ}^3$ - მდინარე ენგურის საშუალომრავალწლიური თხევადი ჩამონადენი ს.ხუბერთან [16];

$V_{\text{მყ}} = 2,5 \text{ მლ.მ}^3$ წყალსაცავში ყოველწლიურად საშუალოდ მოხვედრილი მყარი მასალა [6].

მაშინ,

$$T_{\text{თბ}} = \frac{1100 - 0,2 \cdot 4190}{2,5} = 104,8 \text{ წელი.}$$

ამრიგად, ენგურჰესის წყალსაცავის დაღამვის პირველი სტადიის ხანგრძლივობა შეადგენს 104,8 წელს. აღნიშნული ადასტურებს მოსაზრებას, რომ წყალსაცავში მოხვედრილი მყარი მასალა მთლიანად რჩება მასში.

2. სუსპენზიური ფსკერული ნაკადის წარმოქმნის შესაძლებლობის დადგენა

სამთო წყალსაცავებში მდინარის ნაკადის ჰიდრაულიკური პარამეტრების გარკვეული თანაფარდობისა და ტრანსპორტირებული ტივიტა ნატანის შესაბამისი გრანულომეტრული შემადგენლობისას ($d < 0,015$ მმ-ზე უნდა შეადგენდეს 50%-ს) და დიდი კონცენტრაციის (> 1000 გ/მ³) არსებობის შემთხვევაში, ზოგჯერ წარმოიქმნება ე.წ. სუსპენზიური ფსკერული ნაკადი, რომელსაც აქვს დიდი რაოდენობის წვრილმარცვლოვანი ნაწილაკების (ტივიტა ნატანის ჩამონადენის 5-დან 60%-მდე) წყალსაცავის ბოლოდან კაშხლამდე გადატანის უნარი. შესაბამისი წყალსაგდები მოწყობილობების არსებობისას შესაძლებელია ამ ნატანის მთლიანად გადაგდება ქვედა ბიეფში, რაც გარკვეულწილად ამცირებს წყალსაცავის დაღამვის ინტენსივობას.

ხუდონის წყალსაცავში სუსპენზიური ნაკადების წარმოქმნის შესაძლებლობის დადგენის მიზნით გაანალიზებული იქნა მასში ჩამავალი მდინარეების შესაბამისი ჰიდროლოგიური მახასიათებლები [16]-ის მიხედვით შესავალ კვეთებში, კერძოდ: მდ.ენგურის – ს.დიხთან, მდ.ნენსკრას – ს.ლახამთან, მდ.თხეიშის – ს.ხაიშთან. ანალიზმა აჩვენა, რომ მდინარეებს ნენსკრასა და თხეიშს მდ.ენგურთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობის, დაახლოებით 15-20-ჯერ ნაკლები ჩამონადენი გააჩნია. [16]-ის მიხედვით მდ.ნენსკრაზე 1000 გ/მ³-ზე მეტი სიმღვრივე საშუალოდ წელიწადში სულ 2-ჯერ აღინიშნება, ხოლო ყველაზე უხვნატანიან წელს – 13-ჯერ. აქედან, გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მდ.ნენსკრას და მდ.თხეიშს უფრო მცირე წყლის ხარჯები და სიმღვრივეები გააჩნია ვიდრე მდ.ენგურს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ხუდონის წყალსაცავში ფსკერული დინებების წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ მდ.ენგურის ჩამონადენის ხარჯზე.

ცხრილში 3 მოყვანილია ს.დიხთან მდ.ენგურის სიმღვრივეთა განმეორებადობის პარამეტრები [16]-ის მიხედვით.

მდ.ენგურის (ს. დიზი) სიმღვრივეების განმეორებადობა

ცხრილი 3

წლები	სიმღვრივე S , გ/მ ³ და მეტი							
	50	100	200	500	1000	5000	10000	20000
	დღეების რაოდენობა							
საშუალო	233	180	136	70	26	1	0	0
უხვნატანიანი	365	245	192	107	55	7	2	0
მცირე ნატანიანი	35	10	4	2	1	0	0	0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ საშუალო წელს 1000გ/მ³-ზე მეტ სიმღვრივეს ადგილი აქვს 26-ჯერ, ხოლო უხვნატანიან წელს 55-ჯერ.

ცხრილში 4 მოცემულია ს.დიზთან მდ.ენგურის ტივტივა ნატანის გრანულომეტრიული შემადგენლობა [16]-ის მიხედვით.

მდ.ენგურის (ს.დიზი) ტივტივა ნატანის გრანულომეტრიული შემადგენლობა

ცხრილი 4

d , მმ	2-1	1-0,5	0,5-0,2	0,2-0,1	0,1-0,005	0,005-0,01	<0,01
წყალდიდობა p , %	17,5	13	35,8	19,8	6,3	7,6	-
წყალმცირობა p , %	-	0,5	0,7	4,5	19,8	23,3	51,2

რაც შეეხება ს.დიზთან ტივტივა ნატანის გრანულომეტრიულ შემადგენლობას, როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, წყალმცირობის პერიოდში წვრილმარცვლოვანი ნაწილაკების ნახევარზე მეტს (51,2%) შეადგენს 0,01 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე თხინარი ნაწილაკები.

სპეციალურ ლიტერატურაში [18] მითითებულია, რომ მყარი ფრაქციის სუსპენზიური ნაკადებით გამოტანას ადგილი აქვს კაშხლის გასწორამდე სტრაციფიცირებული ნაკადის წარმოქმნისა და არსებობის პირობებში.

სტრატეგიკაცია შენარჩუნებულია, როცა ე.წ. რინარდსონის რიცხვი აკმაყოფილებს პირობას:

$$R_i = \frac{g}{\rho_{\text{წყ}}} \cdot \frac{\Delta\rho_{\text{წყ}} \cdot h}{v^2} > 0,25 \quad (6)$$

სადაც $\rho_{\text{წყ}}, h, v$ არის წყლის სიმკვრივე (კგ/მ³), სიღრმე (მ) და ნაკადის მოძრაობის სინქარე მისი წყალსაცავში შესვლის გასწორში;

$$\rho_{\text{წყ}} = 1000 \text{ კგ/მ}^3, \quad h = 0,95 \text{ მ}, \quad v = 1,5 \text{ მ/წმ} - \text{შეესაბამება ს.დიზის კვეთში}$$

საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯს $\bar{Q} = 65,8 \text{ მ}^3/\text{წმ}$;

$\Delta\rho_{\text{წყ}}$ - მდინარის წყლისა და წყალსაცავის წყლის სიმკვრივის გრადიენტი, რომელიც ტოლია:

$$\Delta\rho_{\text{წყ}} = \Delta\rho_{\text{წყ}}(S) + \Delta\rho_{\text{წყ}}(t) \quad (7)$$

აქ $\Delta\rho_{\text{წყ}}(S)$ არის სიმკვრივეთა სხვაობა, გამოწვეული მდინარის ნაკადის სიმღვრივის გაზრდით და განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$\Delta\rho_{\text{წყ}}(S) = \left(1 - \frac{\rho_{\text{წყ}}}{\rho_{\text{ნაბ}}}\right) \Delta S, \quad (8)$$

სადაც $\rho_{\text{წყ}}$ და $\rho_{\text{ნაბ}}$ წყლისა და ნატანის სიმკვრივეებია;

ΔS - მდინარისა და წყალსაცავის წყლის ნაკადში ტივტივა ნატანის მასიური კონცენტრაციების სხვაობა. როცა წყალსაცავში წყალი პრაქტიკულად სუფთაა, მაშინ $\Delta S = S$. აქ S გამოსახავს $d < 0,01$ მმ ნაწილაკების მასიურ კონცენტრაციის მდინარის წყალში. ჩვენს შემთხვევაში $\Delta S = 0,512$;

$\Delta\rho_{\text{წყ}}(t)$ - სიმღვრივეთა სხვაობა განპირობებული ტემპერატურული გრადიენტით მდინარის ცივი წყლის ტემპერატურასა და უფრო თბილი წყალსაცავის წყლის ტემპერატურას შორის.

ამრიგად,

$$R_i = \frac{9,81}{1000} \cdot \frac{\left(1 - \frac{1000}{1690}\right) \cdot 0,95 \cdot 0,512}{1,5^2} = 8,7 \cdot 10^{-4} < 0,25$$

ე.ი. სუსპენზიური ნაკადი არ წარმოიქმნება.

3. მდ. ენგურის ფსკერული ნაკადის საშუალოწლიური ჩამონადენის მოცულობების განსაზღვრა

სამდინარო წყალსაცავები ხასიათდება სიგრძეზე დინების სიჩქარის თანდათანობითი შემცირებით, რაც განაპირობებს ნატანის დაღეკვას ზედა ბიეფის გასწვრივ. იმ შემთხვევაში, როცა სამდინარო წყალსაცავებში შემოდის ნატანის მსხვილი ფრაქციები, და დაღეკვები კონცენტრირებულია ბიეფის დასაწყისში და შემდეგ თანდათანობით ნატანის დაღეკვის ზონა ინაცვლებს კაშხლისკენ სამდინარო წყალსაცავების დაღამვისას შეტბორვის გამოსოფლის ზონა გადაადგილდება დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, რასაც თან სდევს დაღამვის სხეულის გაზრდა არა მარტო კაშხლის, არამედ მდინარის ზემოწელის მიმართულებით. სამთო წყალსაცავების დაღამვაში არსებით როლს ასრულებს ფსკერული ნატანი. ის პირველ რიგში იღეკება შეტბორვის გამოსოფლის ზონაში და შემდეგ ნატანით მოღამვის ზონა წინაცვლებს ქვემოთ. რაც შეეხება ტივტივა ნატანს, ის სამთო წყალსაცავებში იღეკება შედარებით თანაბრად მთელი ბიეფის სიგრძეზე [2].

აქვე აღსანიშნავია ის, რომ ფსკერული ნატანის ჩამონადენის განსაზღვრის მეთოდები მეტად სუსტად არის დამუშავებული, რისი მიზეზიც არის ამჟამად არსებული საზომი ხელსაწყოების არასრულყოფილება და ნატანის მოძრაობის შესწავლის სირთულე.

ხუდონის წყალსაცავის დაღამვის პროგნოზირებისათვის მდ.ენგურის ფსკერული ნატანის ჩამონადენის დასადგენად საანგარიშო კვეთს ვირჩევთ შემდეგი მოსაზრებებით: ვინაიდან, როგორც იყო აღნიშნული, სამთო წყალსაცავებში ფსკერული ნატანის დაღამვის პროცესი ჩვეულებრივ წყალსაცავის ბოლო ნაწილში მიმდინარეობს და ამასთან ხუდონის წყალსაცავის ძირითადი გვერდითი შენაკადების – მდ.ნენსკრასა და მდ.თხეიშის მყარი ჩამონადენი მდ.ენგურთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა, ამიტომ ფსკერული ნატანის ჩამონადენის საანგარიშო სიდიდეს ვადგენთ ს.დიზის კვეთისათვის.

ს.დიზის კვეთში მდ.ენგურის წყლის საშუალომრავალწლიური ხარჯი შეადგენს 65,8 მ³/წმ, ამ ხარჯის შესაბამისი ნაკადის საშუალო სიჩქარე $v=1,5$ მ/წმ, საშუალო სიღრმე $H=0,95$ მ, ხოლო სიგანე $B=27$ მ. მდინარის ფსკერის ქანობი ამ უბანზე შეადგენს 0,022.

მდ.ენგურის ფსკერული ნატანის საშუალო დიამეტრის $d_{საშ}$ დასადგენად ს.დიზთან, ვისარგებლოთ ემპირიული ფორმულით, რომელიც მიღებულია ფსკერულ ნატანზე მრავალრიცხოვანი დაკვირვებების საფუძველზე [19]:

$$d_{\text{ჰ}} = 5,5i^{0,8}, \quad (9)$$

სადაც $d_{\text{ჰ}}$ არის მდინარის მიერ ფსკერზე შექმნილი ქვაფენილის საშუალო დიამეტრი, რომელიც ფსკერული ნატანის საშუალო დიამეტრთან $d_{\text{საშ}}$ დაკავშირებულია შემდეგი გამოსახულებით:

$$d_{\text{ჰ}} = 3,2d_{\text{საშ}}, \quad (10)$$

შევამოწმოთ რამდენად მიზანშეწონილია მე-(9)-ე და მე-(10)-ე ფორმულების გამოყენება. ამ მიზნით განვსაზღვროთ $d_{\text{საშ}}$ ს.ხუბერის კვეთისთვის, სადაც ნატურული დაკვირვებების მონაცემებით $d_{\text{საშ}}=43$ მმ [20].

მდინარის ამ მონაკვეთზე $i = 0,0104$. მე-(9)-ე ფორმულის მიხედვით

$$d_{\text{ჰ}} = 5,5 \cdot 0,0104^{0,8} = 0,14256$$

ხოლო მე-(10)-ე ფორმულის თანახმად

$$d_{\text{საშ}} = \frac{d_{\text{ჰ}}}{3,2} = \frac{0,14256}{3,2} = 0,0446 \text{ მ} = 44,6 \text{ მმ}.$$

ე.ი. ფსკერული ნატანის საშუალო დიამეტრის მნიშვნელობა ს.ხუბერის კვეთისთვის $d_{\text{საშ}} = 44$ მმ.

ცდომილება ნატურულ დაკვირვებათ მიღებულ $d_{\text{საშ}}$ და თეორიულად განსაზღვრულ $d_{\text{საშ}}$ -ს შორის 3,7%, რაც პრაქტიკული გაანგარიშებებისთვის სრულიად საკმარისია. მიტომ, ს.დიხის კვეთისთვის ვისარგებლოთ მე-(9)-ე და მე-(10)-ე ფორმულებით, მივიღებთ:

$$d_{\text{ჰ}} = 5,5 \cdot 0,022^{0,8} = 0,2596 \text{ მ}; \quad d_{\text{საშ}} = \frac{0,2596}{3,2} = 0,0811 \text{ მ} = 81 \text{ მმ}.$$

$d_{\text{საშ}} = 81$ მმ.

მდინარეთა სამთო უბნებზე ფსკერული ნატანის ხარჯების გასაანგარიშებლად რეკომენდებულია ფორმულების ფართო სპექტრი. ჩვენ ვისარგებლოთ, კარგად აპრობირებული “საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტში” შემუშავებული ფორმულით [21]:

$$Q = 4,18 \frac{v^{3,61}}{H^{0,6} \cdot d_{\text{საშ}}^{0,2}} = 4,18 \frac{1,5^{3,61}}{0,95^{0,6} \cdot 0,081^{0,2}} = 30,8 \text{ კგ/წმ.} \quad (11)$$

ფსკერული ნატანის საშუალოწლიური ჩამონადენი ტოლი იქნება

$$G_{\text{ფ}} = Q \cdot T = 30,8 \cdot 10^{-3} \cdot 31,5 \cdot 10^6 = 0,97 \text{ მლნ.ტ.}$$

სადაც $31,5 \times 10^5$ არის წამების რაოდენობა წელიწადში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მდ.ენგურის ტივტივა ნატანის საშუალოწლიური ჩამონადენის საანგარიშო სიდიდე შეადგენს $P_{\text{ფ}} = 3,46 \text{ მლნ.ტ.}$ -ს, მაშინ მყარი ნატანის ჯამური ჩამონადენი იქნება

$$V_{\text{ჯ}} = P_{\text{ფ}} + G_{\text{ფ}} = 3,46 + 0,97 = 4,43 \text{ მლნ.ტ.}$$

ფსკერული ნატანის საშუალოწლიური ჩამონადენი შეადგენს ჯამური ჩამონადენის 22,5%, რაც ახლოსაა [6]-ში მოყვანილ ზედა ზღვართან.

[18]-ის ცხრილი 6.7-ის მიხედვით $d_{\text{საშ}} = 81 \text{ მმ}$ შეესაბამება ნატანის მოცულობით წინა $\gamma = 2 \text{ ტ/მ}^3$, მაშინ ნატანის მოცულობა იქნება:

$$V_{\text{ფ}} = \frac{G_{\text{ფ}}}{\gamma} = \frac{0,97}{2} = 0,485 \text{ მლნ.მ}^3$$

თბილჰიდროპროექტის მონაცემებით მდ.ენგურის ფსკერულ ნატანში წვრილმარცვლოვანი ფრაქცია ($d < 1 \text{ მმ}$) შეადგენს დაახლოებით 15%-ს. ამგვარად, ამ ფრაქციის შესაბამისი ჩამონადენი იქნება:

$$V_{\text{ფწ}} = 0,15 V_{\text{ფ}} = 0,15 \cdot 0,485 = 0,073 \text{ მლნ.მ}^3$$

ეს ნატანი წყალსაცავში მოხდება ატივარებულ მდგომარეობაში და შესაბამის პირობებში ტივტივა ნატანთან ერთად გადაიტანება ქვედა ბიეფში.

ამრიგად, ფსკერული ნატანის მსხვილმარცვლოვანი ნაწილის მოცულობა, რომელიც ყოველწლიურად დარჩება წყალსაცავში იქნება:

$$V_{\text{ფმს}} = V_{\text{ფ}} - V_{\text{ფწ}} = 0,485 - 0,073 = 0,412 \text{ მლნ.მ}^3.$$

4. ხუდონის წყალსაცავის დაღამვის მოცულობისა და ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრა

საპროექტო მონაცემების [17] მიხედვით, ხუდონის კაშხალი დისლოცირებულია მდ.ენგურზე მოქმედი ენგურის კაშხლიდან 32 კმ-ის დაშორებით და ს.ხაიშის ქვემოთ 4 კმ მანძილზე. ხუდონის კაშხალი ქმნის წყალსაცავს, რომლის აკვატორია ვრცელდება მდ.ენგურის, მისი მარჯვენა შენაკადის მდ.ნენსკრას და მარცხენა შენაკადის მდ.თხეიშის ხეობებში. წყალსაცავის სიგრძე მდ.ენგურის გასწვრივ არის 9,2 კმ, მდ.ნენსკრას გასწვრივ – 3,8 კმ, ხოლო მდ.თხეიშის გასწვრივ – 2 კმ. წყალსაცავის სანაპირო ზოლის მთლიანი სიგრძე შეადგენს 36 კმ-ს.

წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის დონის (ნ.შ.დ.) შესაბამისი ნიშნულია 700მ, ხოლო ამ დონის შესაბამისი წყალსაცავის მოცულობა $W_0 = 364,5$ მლნ.მ³-ია, მისი სარკის ზედაპირის ფართობი – 5,22 კმ², საშუალო სიგანე – 580 მ, მაქსიმალური – 800 მ, საშუალო სიღრმე – 88 მ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე – 177 მ. წყალსაცავის საერთო მოცულობიდან მდ.ენგურის ხეობაზე მოდის 282,36 მლნ.მ³, მდ.ნენსკრას ხეობაზე – 39,44 მლნ.მ³, მდ.თხეიშის ხეობაზე – 42,7 მლნ.მ³.

ხუდონის წყალსაცავის გეგმიური მოხაზულობა განსაზღვრავს დაღამვის თავისებურობას: მდ.ენგურის მყარი ჩამონადენით იღამება მხოლოდ წყალსაცავის მდ.ენგურის ხეობაში მდებარე ნაწილი, ხოლო წყალსაცავის ის ნაწილი, რომელიც მდ.ნენსკრასა და მდ.თხეიშის ხეობებშია დისლოცირებული შესაბამისად იღამება მხოლოდ ამ მდინარეების მყარი ჩამონადენით, რომელიც მდ.ენგურის ჩამონადენთან შედარებით გაცილებით მცირეა და თბილქიდროპროექტის მონაცემებით [17] შეადგენს მდ.ნენსკრასის $V_{\delta 6} = 0,0755$ მლნ.მ³, ხოლო თხეიშისათვის $V_{\delta 6} = 0,062$ მლნ.მ³.

ჩვენს მიერ მიღებული იყო ჩამონადენის მოცულობის შემასწორებელი კოეფიციენტი ენგურის წყალსაცავში ფაქტობრივად დალექილი ნატანის მოცულობის გათვალისწინებით – 0,77. თუ მას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მდ.ნენსკრასათვის მყარი ჩამონადენის საშუალო წლიური მნიშვნელობა იქნება $V_{\delta 6} = 0,058$ მლნ.მ³, ხოლო მდ.თხეიშისათვის $V_{\delta 6} = 0,048$ მლნ.მ³. ცხადია, რომ ხუდონის წყალსაცავის დაღამვის

ანგარიში უნდა ჩატარდეს $W_0' = 282,4$ მლნ.მ³ მდ.ენგურის ხეობაში მდებარე მოცულობისთვის, ხოლო წყალსაცავის დანარჩენი მოცულობა (82,1 მლნ.მ³) პრაქტიკულად არ დაილაშქვება.

მთის ხეობის ტიპის წყალსაცავებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება ხუდონის წყალსაცავის მონაკვეთი ს.ხაიშამდე, ნაპირების გადამუშავება გამოიხატება აბრაზიული და ზვავურ-მეწვერული პროცესებით. წყალსაცავის ს.ხაიშის ზემოთ მდებარე ნაწილისათვის, რომელიც კანიონის ტიპს მიეკუთვნება, დამახასიათებელია ფერდობების ზვავურ-მეწვერული გადამუშავება. თბილქიდროპროექტის მონაცემების [22] მიხედვით წყალსაცავის სანაპირო ზოლის არანაკლებ 70% გაივლის პიტალო ან მცირე სისქის ნატანის ფენით დაფარულ კლდეებზე, სადაც ნაპირების გადამუშავება პრაქტიკულად შეიძლება უგულვებელყოფით. სანაპირო ზოლის 25% უჭირავს ფხვიერი მეოთხეული ქანებით დაფარულ მონაკვეთებს, ხოლო 5%-მეწვერების ორ დიდ კერას: ერთი მათგანი მდებარეობს კაშხლის საპროექტო კვეთიდან 1 კმ-ის მანძილზე მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ხეობის მარცხენა ბორცვზე, მეორე – მდ.ნენსკრას შესართავის ზემოთ მდ.ენგურის ხეობის ორივე ნაპირზე.

ნაპირების გადამუშავების ჯამური მოცულობა წყალსაცავის ექსპლუატაციის პირველი 5 წლის განმავლობაში შეადგენს 4 მლნ.მ³, ხოლო 10 წლის განმავლობაში – 5,6 მლნ.მ³, რაც ადასტურებს ნაპირების გადამუშავების ინტენსივობის მნიშვნელოვან კლებას აღნიშნულ პერიოდში და საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ წყალსაცავის ექსპლუატაციის დაწყებიდან 15-20 წლის შემდეგ დამყარდება ნაპირების დინამიკური წონასწორობა და იმავდროულად მეწვერული პროცესების განვითარებას ბუნებრივ წინააღმდეგობას შეუქმნის წყალსაცავის მდინარის ნატანით ამოვსება.

მაშასადამე, ნაპირების აბრაზიულ-მეწვერული გადამუშავების საშუალო წლიური მოცულობა ზემოთ მოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით იქნება

$$V_{\text{ს.ა.}} = 5,6 : 10 = 0,56 \text{ მლნ.მ}^3 / \text{წელი}$$

ვინაიდან, საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების განხორციელების ამ ეტაპზე არსებული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია აბრაზიულ-მეწყერული გადამუშავების პროდუქტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ზუსტად დადგენა, პირობით მთელ ამ მოცულობას ვღებულობთ როგორც მსხვილფრაქციულს, რაც გარკვეულ მარაგს ქმნის წყალსაცავის დალამვის ვადის განსაზღვრისას.

თბილჰიდროპროექტის მონაცემებით [22] ხუდონის წყალსაცავის აკვატორიას არ ერთვის არც ერთი მნიშვნელოვანი დვარცოფული შენაკადი, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს წყალსაცავის მყარი ნატანით შევსებაზე. ე.ი. $V_{\text{გ}} = 0$.

ამგვარად, დავადგინეთ რა ყველა სახის მყარი მასალის საშუალოწლიური ჩამონადენების სიდიდეები, ანგარიშის მომდევნო ეტაპზე განვსაზღვრავთ წყალსაცავის დალამვის პირობით მაჩვენებელს, რომელიც წარმოადგენს წყალსაცავის სრული დალამვის ვადას (წლებში) იმ დაშვებით, რომ მყარი ჩამონადენი მთლიანად რჩება წყალსაცავში. არსებული რეკომენდაციების თანახმად, თუ $t_3 > 200$ წელზე, წყალსაცავის დალამვის პროგნოზი ამით შემოიფარგლება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ანგარიში წარმოებს წყალსაცავიდან ნატანის ნაწილობრივი გატანის გათვალისწინებით [18]:

$$t_3 = \frac{W_o - 8,33\omega_j}{V_{\text{მყ}}} \quad (12)$$

სადაც $W_o = 282,36$ მლნ.მ³ არის წყალსაცავის ენგურის ხეობაზე მოსული მოცულობა;

ω_j - მთლიანად დალამული წყალსაცავის ფარგლებში მდინარის მიერ ფორმირებული კალაპოტის მოცულობა, რომელიც წყალსაცავის სიგრძისა და კალაპოტის განივკვეთის ფართობის (ω) (კალაპოტის მაფორმირებელი ხარჯის პირობებში) ნამრავლის ტოლია:

$$\omega_j = l_{\text{წყ}} \cdot \omega = 9200 \times 120 = 1104000\text{მ}^3 = 1,104\text{მლნ.მ}^3.$$

$V_{\text{მყ}}$ - მყარი მასალის ჯამური საშუალოწლიური ჩამონადენი:

$$V_{\text{მყ}} = V_{\text{ფ}} + V_{\text{გ}} + V_{\text{ს.ა.}} = 2,05 + 0,41 + 0,56 = 3,022 \text{ მლნ.მ}^3$$

მაშინ პირობითი მაჩვენებელი:

$$t_3 = \frac{282,36 - 8,33 \cdot 1,104}{3,022} = 90,4 \text{ წელი.}$$

ვინაიდან, $t_3 = 90,4 \text{ წ} < 200 \text{ წ}$ ამიტომ ვაგრძელებთ ანგარიშს.

უნდა დავადგინოთ გააჩნია თუ არა წყალსაცავს დაღამვის პირველი სტადია, როცა მთელი ნატანი მასში რჩება. ამ სტადიის ხანგრძლივობა გავიანგარიშოთ ფორმულით [21]:

$$T_{1\text{სტ}} = \frac{W_o - 0,2V_{\text{თხვევ}}}{V_{\text{მყ}}} \quad (13)$$

